

345 /
1903/2

6.3 - № V

ՀՅԱ
N5

ՅԱԿԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ՅԱԿԱՆԻ 1903

უფრნალ „ჯეჯილისა“

83-

I	მდიდარი და ღარიბი იგაეი — ად.	მირიანაშვილისა	3
II	დაუდგრომელი ზურა ფრანგულიდან — ან.	წერეთლისა	5
III	არაყი (რუსულიდან) — მდ.	ბეს. გაშეძისა	10
IV	ღორი (რუსულიდან) — თორნიგესი		11
V	ვარდები ლექსი — ი.	ბეჭიაშვილისა	14
VI	როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება (დასასრული)		
	— ქოტე ელიოზიშვილისა		16
VII	„ახია ჩემზე, ახი!“ ამბაეი — ად.	სოლოდაშვილისა	22
VIII	კაპიტანი იაკობ კუკი (დასასრული) — ან.	წერეთლისა	33
IX	თამარ მეფე (დასასრული) — ღ.	გარეგიაშვილისა	38
X	ძევლი ისტორია ერნესტ ლავოსისა, (რომის რეპუბლიკა)		
	თარგმანი — ნ. შენგელიასი		51
XI	პიკუსი (ოეილიუსიდან) — ა.	უშმისთაველისა	56
XII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, მატემატიკური კითხები და პასუხი, ჩქარა გამოსათქმელი, ზმა, შარადა, რეზუსი და ახსნა.		

თანახმათ მათი ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თვილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო უფრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



A decorative horizontal border featuring stylized, swirling floral and leaf motifs in black ink on a light background. The design is symmetrical and organic, resembling traditional East Asian or Buddhist decorative arts.

ସାଧେବନ୍ଦୁଳୀ ମାନ୍ଦେବିନ୍ଦୁ

ე უ რ ნ ა ლ ი

ისარდე, მწვანე ჭავალო,
დაპურა, გასდი უანაო!..

• 6 •

Nº V

၁၁၁၀၇၁၄၈ အတောက်ဆောင်

ଓଡ଼ିଆ ଉତ୍ସବ

სტამბა ტ. პ. რეტრი ანცის, № 41 | თიპ. თ. მ. როტინაშვილი, გოლ. კრ. № 41
1903



Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Апрѣля 1903 г.

გლილარი და ღარიბი.

08030

არ. ბ კაცის მოუხდა ერთხელ მდიდრის
სახლში შესვლა. იგი გაოცებული უცმე-
როდა გარშემო უველავერს და აღარ იცო-
და, რაზედ შექერებინა თვალი.

— ბატონო, — ჭითსა მერე მდი-
დანს, — ნეტა ეს ამოდენა აუარებელი
ქონება და სარჩო-საბადებელი რომ შე-
გიძენა, უველავრით შემული და მოგაზმუ-
ლი იჯახი რომ გაქცის, არაფერი არ გაქ-
ლია და უველავრით სრული რომ სარ,

ამ სოფლათ კიდევ რა უნდა გურდესო?

— ბედნიერებაო, მიუგო მდიდარმა.


— როგორ! თუ ამისთანა სიძიდიდრესაც კაცის გაბედ-
ნიერება არ შესძლება, მაშ არც ფასი რამ ჭიონია!

— მართალი სარ, ჩემ თვალში სიძიდიდრეს არაფერი
ფასი არა აქვთ.

— ბატონი, ღვთის გულისტვის, მისმინე იხოვნა:
 ცოლშვილი ძიმშალით მესოცება,—რაკი შენთვის ამ სიძ-
 დიდოებს ჩაღის ფასი ჰქონია, ნახევარი მაინც მე მიწა-
 ლობე და სიკვდილამდის შენი შემაკვედრებელი ვიქნებით.

მდიდარი ამ თხოვნაზე ღარიბს მხოლოთ დუმილით
 უპისუსა.

ალ. მირიანაშვილი ი.



დაუღირომელი ზურა.



ზურა საშინელი მოუსვენარი უმაწვილი იუო, რასაც ნახავდა — არ შეიძლებოდა ხელი არ წაეტანებინა. არც დედ-მამის დარიგება, არც მათი დაძლა — არაფერი არ ეყარებოდა ზურას და ამიტომ დაარქვეს მას დაუღირომელი უმაწვილი.

ერთსელ ზურა აფიდა სკამზე და დაუწეო თამაში გალიას, რომელშიაც იადონი იუო დამწუკდეული. ამ ფრინვლის გალობა არ ჩამოუჩებოდა ბულბულის სტეენას. დიდ ხასს უტრიალა უმაწვილმა გალიას და ეთამაშა იადონს, მერე მოინდომა გალიას კარის გაღება. იადონსაც ეს უნდოდა, მაშინვე გამოფრინდა გალიიდან და დაიწეო ოთახში ფრენა. ზურა ჯერ სისარულით ფეხზე ადარ იდგა, მერე მოინდომა მისი ისევ დაწწვდევა, მაგრამ ისე ადვილი არ იუო, როგორც ეგონა. ფრინველს ადარ უნდოდა საპუ-



რობილები შესვლა და უმაწვილი მოძებნება მისი დევნით.

ზურა გაბრაზდა რომ ვერა გააწეო-რა, თანაც ეძინოდა დედამ არ შეძმისწროსო, აღლო თავისი ქუდი და რაც ძალი ჰქონდა ესროლა იადონს. მარჯვეთ რომ გადეგდო ქუდი, უმჭველია, იადონს მოჰქლავდა. ახლა საქმე მოულოდნელათ სხვანაირათ დატრიალდა. ქერძი ასროლილი ქუდი ბუხრის თავზე დაეცა, იქიდან გადმოვარდა საძირთხო ფაიფურის ფინჯანი და დაილეწა, დაუდგრომელი ზურა გაოცდა, დაიფანტა, როდესაც დაინახა რომ მის ცელქობას ასეთი შედეგი მოჰქვა.

ცოტა გონზე რომ მოვიდა, ზურამ მძძინვე საჩქაროთ აკრიფთ გატესილი ფინჯნების ნაჭრები, გააღო ფანჯარა და გადაჲუარა, თითქოს იმითი უნდოდა დაემალა თავისი საქციული.

სანამ ზურა ამ საქმები იუო, იადონმა იხელა დოო, გაფრინდა ბაღში და იქიდან თავისუფლათ დასჭირდება. სწორეთ იმ დოოს შემოვიდა ოთახში უმაწვილის დედა. მისი ნაღველი უსამსდერო იუო. კეღარ ნახა გალიაშა თავისი საქვარელი იადონი და ფინჯნებიც დანსხვრეული დაუხვდა. დაუდგრომელი ზურა დასაჯეს, მაგრამ აშითი აღარც ფინჯნები გამოელდა და კედარც იადონი იპოვეს.

ამ აბბის შემდეგ უმაწვილი მაინც არ დაცხრა. ორიოდ დღეს შემდეგ კედლის საათს სიკეთე არ დააუარა — მოშალა.

ზურა არ ჩერდებოდა, სან კარების გასაღებს იმდენს

გადაატრიალ-გადმოატრიალებდა, რომ იმითი აღარც დაკმინა
და აღარც გადება შეიძლებოდა; სან მიუარღებოდა და მი-
რიანათ ამოგლეჭდა იმ საგანგებო უფავილებს, რომლებსაც
მის მამას საჩუქრათ მოუტანდენ ხოლმე.

ბოლოს, უკელაფერი რომ მოილია, დაუღვრომელი უმაწ-
ვილი მიუარდა ქატას, მაგრამ კატა ისეთი სასრი კლანშე
ბით დაუხვდა და ხუთჯერ-ექვიჯერ ისე მძლავრათ ჩაჰქრა,
რომ ზურამ კვლავ კედარ გაბედა მისი წეალება.

რადგან ზურა ისეთი ანცი და მოუსვენარი უმაწვილი
იქო, რომ არაფერს არ ტოვებდა ხელ-უსლებს და გაუ-
ფუქებელს, მამას სასტიკათ აუკრძალა თავის სამუშავო ოთახ-
ში შესვლა; ემინოდა საჭირო ქაღალდები არ გადამირიო-
სო, მაგრამ ზურა ერთხელ იქაც შეიპარა.

შევიდა თუ არა მამის ოთახში, ჯერ გაიარ-გამოიარა,
უკელაფერი აათვალ-ჩათვალიერა და მაგიდაზე უცბათ შენიშნა
დამბახა. ის იუო მამა მეზავრობიდან დაბრუნებულიერ და დამ-
ბახის შენახვა ვერ მოექმირო. მოუსვენარმა ზურამ მაშინვე
აიღო დამბახა ხელში და დაუწეო თამაშობა, ვითომ საშიში
არაფერიაო. დადგა დიდ სარკის წინ, რომელშააც თავით-
ფეხებამდე მოხანდა და დაუწეო ჩახმახს წვალება, ეკონა რომ
დამბახა გატენილი არ იუო. მერე გადიდო დამბახა მხარზე
და როგორც ჯარის-ჯაცს უბრძანებენ დაიწუო უვირილი: «სმე-
ნა და გაგონება! თოვი გაიდეთ მხარზე... აიღეთ ხელში... დაუ-
მიჩნეთ... და ამ დროს გატაცებული მიადო დამბახა სარ-

ցի՞ւ— «Համեսրոլյետ!...» Հա մարտլաց տօտոնց համեսրոլնի... Ռուսի համեսիամ... Հա քոջո Տարկոյ լոյսմա-լոյսմատ ովքա. Ամ եմայրոծուոտ մշմինյելյլու Նշուա համեսլարտա օսբայնի, ռո-
գորոց տօղուոտ հակորոլու.



Համեսիս եմանյ, Տարկուս կյեկնի Հա յմանվուուուս յանուուու-
նի մոյլու ռայանո ոյեթնի Հաճը, յայլամ ռտանմու մամուու-
նուն. Տանուուու Հյուս յըոնն, յէ առու մշուուու մոմոյացառ
Հա գայուուույելյլու, յայոնու մշուուու գայուուու Հայը. Միշ-
ջուու Հոյնեանս յար մույզանյս յոնյեանի Հա մոմուու յարց
Տանս այատմշոյուուուն. Եյուուու Հայը Հուուուու մշուուու Նշուամ-կո, տօտ-
յուս առայյուու առ մոմեցառուուս, Եյուուու յանուու Եյ առու
տաչույյելյուուտ Հանիյուու օնյու օնյու տամամուն.

Աճայուու մշուամլոյելյլու ոյո, ռուու յմանվուուու մոմեցառ-
ուուու, յայու յարց, ռուու Տարկուս յաբենու յատացառ Տայմյ.
Ամ ամես մշուու Նշուա յենդ յաճանայուու յայլայուունի

სელის წატანებას, მაგრამ არც ამან უშეველა. ის ისევ და-
უდგრომელი იუო.

არ გავიდა მას შემდეგ რამდენიმე ღღე, რომ ზურამ
ისელა დოო და ოოცა მარტო დარჩა, შევიდა დედის ოთახში,
აიღო წუმწუმა, დაუწეო ცოდილი და თამაშობა და მე-
რე უუთს წაუკიდა ცეცხლი. ცეცხლი მის ჩასაცმელს
მოევიდა და ნელა-ნელა გადავიდა მთელ ტანისამოსზე. მარ-
თალია დაუდგრომელი ზურა ვრმნობდა ნატისუსალს, მაგრამ
უურიც არ ათხოვა, სანამ არ ივრმნო საშინელი წვა და
ტკიფილი; მაშინ-კი იყალრა შეშინება. მიადო სელი ტანისა-
მოს და თითები დაწვა, გონიერი და გამჭრიახი ქმაწვილი
უცდებოდა რომ ცეცხლი ამგვარათ გაექრო: დაჯდებოდა ჩასაცმე-
ლის ცეცხლ-მოკიდებულ კალთაზე, მაგრამ ამ ანცმა ქმაწვილმა
ვერ მოახერხა ამისთანა ადვილი საშუალება და დაიწუო
სირბილი და უვირილი. ამ სირბილზე ცეცხლი უფრო მო-
კიდა მის ტანისამოსს და სანამ საშუალო მიუიდოდენ ცეცხლმა
მოლათ გარშემო შემოუარა. ქმაწვილს მივარდენ და გაუქრეს
ცეცხლი, მაგრამ ზოგ ადგილას ტანი ისე დაუიარავდა, რომ
რამდენსამე ღღეს იწვა ლოგინში. ამ უბედურებამ-კი ცოტა
არ იუოს ჭერა ასწავლა და ზურამ ცოტ-ცოტათ მაინც დაი-
ძალა ჰელაფერზე სელის წატანება.

ან. წერეთლისა.

(ფრანგულიდან)



န ရ န ပ ါ.



ზარეულ ქალს კატერინეს გაუფრთხილებლო-
ბით სამსარეულოში ხუთი გირვანქა ხბოს ხორ-
ცი დაწვა. ქალბატონის საუველური რომ თა-
ვიდან აეცილებია, კატარინემ მოტეუებით დაიწეო თავის მართ-
ლება ქალბატონთან: «შემწვარი ხორცი კატამ შემიჭამა».


— თუ მართალს ამბობ, ამავე წုთხი გავიგებ, თქვა
გულ-ძოსულმა ქალბატონმა... ქალბატონი შევიდა სამსარე-
ულოში, დაიჭირა კატა და აწონა. კატამ მთლათ ხუთი
გირვანქა აიწონა.

— ხომ ხედავ, კატარინე? გაკვირვებით უთხრა ქალ-
ბატონმა.— მე ნაძღვილათ მჯერა, რომ ეს ხუთი გირვანქა
ჩვენი ხბოს ხორცია, მაგრამ მითხარი, თუ დმერთი გწამს,
თითონ კატა რაღა იქნა?!

— თითონ კატა რაღა იქნა? შეეშინდა თავისი დანაშაუ-
ლისა და საღღაც გაიქცა, დაუფიქრებლათ და მოსწრებუ-
ლათ უპასუხსა მსარეულმა კატარინემ თავის ქალბატონს.

მღვ. ბეს. ვაშაძე.

(თარგმანი)



ღ მ რ ი.



ს ეველას გაგვიგონია, რომ დორები
სულელნი და გაუგებარნი არიანთ,
მაგრამ იმას-კი არ დავკვირვებივართ,
მართალია ეს ხმა თუ არა. აქ მოუ-
ვანილი მაგალითები კი სავსებით
ეწინააღმდეგებიან ამ აზრს.

ისპანიაში დორები უწევენ კაცო-
ბრიობას დიდ სამსახურს: იქ მიწაში
იზრდება ერთნაირი, ძლიერ გემრი-
ელი სოკო (триумфалი), მაგრამ, რად-
განაც ისინი მიწას ზევით არ ჩანან, მათი დანახვა ძლიერ
მნელია. დორს ხომ უნოსვა საუცხოვო აქვს, მოძამენ დორს
ფეხში ბაწარს და მიუვანენ იმ ადგილას, საცა ეს სოკო
ეგულებათ, დორი იგრძნობს რა სოკოს სუნს, იწევბს მაწის
ჩიჩენას თვისის ღონიერი დინგით; თხრის მიწას და მა-
რთლაც პოულობს იმ ადგილს სადაც სოკო უნდა იქოს.

ერთ კაცს საფრანგეთში მოუვიდა აზრათ ესწავლებინა
დორისთვის ცეკვა — თამაში. და ეს აზრი მან კიდეც განა-



სორციელა, მშენიერათ შეასწავლა სხვა-და-სხვა ცეკვა.
ჩაუგა ერთს ქალის ტანისამოსი, მეორეს კუთხა, და-
უკრავდა ხოლმე საკრავს, რის ხმაზედაც ღორები თამაშს
მოჰყვებოდენ საკვირველის დაფიქრებით. ეს გაიგეს მეფის
სასახლეში და საფრანგეთის მეფემ, ლიუდივიკ მეფეოთმეტემ,
რომელიც ძლიერ იუო ავათ, სიკვდილის წინ მოისურვა
მოთამექ ღორების ნახვა, ღორებმა ისე ლაშათიანათ ჩამო-
უარეს, რომ ერთი წლის გაუცინარი მეფე გულიანათ გაა-
ცინეს.

პრესიის მეფის ფრიდრიხ მე-II-ის დროს ერთბა კაცმა
ასწავლა ღორებს რიგზე თაქმი: ღორები მათრახის ტეა-
ტრის გაგონებაზე ჩამწკრივდებოდენ, ბრუნდებოდენ და
დადიოდენ ისე წენარათ, როგორც ჯარის კაცები დადიან
სოლმე.

ერთმა კაცმა ახწავდა ღორის საათის გამოცნობა: ღორი უურებდა დიდ კედლის საათს და უოფელ საათის შესრულებას ჰატრის ფეხის ბაჟუნით ანიშნებდა.

ერთხელ ერთ განათლებულ ინგლისელ სასოგადოებაში
ჩამოვარდა ლაბარაჟი ცხენების სწრაფ სირბილზე.


— გარწმუნებთ მე თქვენ, რომ ლორს შეუძლია საუ-
კეთესო კიბის მაღლს აჯობოს სირბილში, და ეს ხომ
მოვეხსენებათ, რომ მაღლი ბევრად მარდია ცხენზე — თქვა
ერთმა. ამ განცხადებამ დიდი ბაასი გამოიწვია, საქმე იქა-
დის მიუიდა, რომ კიდევაც დანაძლევდენ. ეს კაცი მეორე

დღესვე მეუღება ღორების წრთვას: ამისთვის მან ამოირჩია კაშა ადგილი ორ საღორეს შეა; ერთში ღორებს ძლიერ კარგათ ჰქონდა და მეორემი-კი ამწევდევდა. იმის წინა დღეს, როდესაც ღორები უნდა შექმნავთ მაღლს, ღორებისთვის სრულებით არა უჭირა-რა და, როდესაც ეს შეირი ღორები გამოუშვეს მაღლთან ერთათ, ღორებმა ვა-ასწრეს მაღლს რამდენიმე საჟენით.

ისიც ბევრჯელ უცდიათ, რომ ღორებს მექებრის მა-გიერობა გაეწიოსთ და აქაც ღორებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს. ერთათ-ერთი ნაჭლი ღორებისა ის არის, რომ მეტა გაუშაძღრები არიან. ხშირათ მათი ავ-მუცლობა იქამდის მი-დის რომ თავიანთ გოჭებსაც კი სწამენ.

თორნიკე.

(ჩუსულიდან)





ვარდები.



მებაღეს ბლომათ ვარდები
ქოთნით გაედგა გარეთა;
იმ დროს მივესწარ, როს ერთი
სხვებს დასცინოდა მწარეთა.

მე ვარ რაც ვარ — ამბობდა —
ვინ ისამთ ჩემოდნობასა,
თან რაც შეეძლო ამკობდა
ქებით თვის ტანადობასა.

ამ ლაპარაკში დაზრუბლა,
მოვიდა წვიმა შეაპუნა,
ბაქია მოჟუვა ვედრებას
რაკი ზედ მიაჩეაფუნა.

წვიმავ, ნუ მოხვალ მიწაზე
აჭენჭესდები, წახდები,
ვარდ-უვავილების — იცოდე —
დასაგმობელი ვახდები.

მაგრამ ტრაბასას მუდარა
მაღლით ცამ როდი უსმინა

ცუარ-მარგალიტის ჰქურება
მან უფრო წამოუშინა.

თურმე, ნუ იტყვით, ის ვარდი
კველაზე წინ რომ დგებოდა,
ბუნების ძვილი არ იურ
და ამიტომა კრთებოდა.

გაქრა სელო-ქმნილი ტრაბახა,
ჩამოიძალა დამნალ ჩვრათ,
სხვებს კი დაეტეოთ სიცოცხლე
გადიუურჩქნენ ათას ფრათ.

ჩვენს ცხოვრებაშიც ასეა,
კინც რომ სუსტია გონებით
თავს მაღლა იღებს, ტრაბახობს
სულელურ თავ-ძორწონებით.

ი. ბელიაშვილი.



როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება.

(პოთხობა ბ. ნ. ბოგდანოვისა)

(მოსული თაბეჭის ნაშმა აბი).



ჭ! გავიფიქრო—უველგან ერთი და იგი-
ვე უოფილა, საითაც უნდა მიისებო,
უველგან ჩხებს და ერთმანეთის დევნას
დაინახავ. არ იუთ კარგი ცხოვრება ბე-
ღელში, მაგრამ იქ თაგვები ეწებებო-
დენ ერთმანეთს, იცოდი მაინც ვისთანა
გქონდა საქმე, აქ-კი უოველ ნაბიჯსე
ვინ იცის საძღან ვინ გამოგიგარდება.
აქ მუდამ შემი უნდა გქინდეს, დიდი-
ჟაკ და პატარისაც. სჯობს ისევ ბაღებში დავბრუნდე, ჩე-
მიანებს როგორც იქნება მოვურივდები-მეთქი. ვთქვი და
დავბრუნდა ბეღელში, მაგრამ იქ თაგვის სასსენებელიც აღარ
დაშვიდა, აქა-იქ მცლები-და ეფარა. საჭმელი არსად იუთ. რა-
და დამჩენოდა. გამოვედი იქიდან და ეზო გადავიარე. მი-

კერძო მოურნავის სახლში და პირ-და-პირ საკუჭნაოში შევმვერი. იქ ჩვენები ბლომათ იუვენ.

— სხვა, როგორა ცხოვრობთ-მეთქი, დავვეკითხე.

— ცუდათაო, მისასუსეს, — წყველმა ნემენცის ქალმა კატები გააჩინა; ამით რომ ვერაფერს გახდა, მოიტანა რაღაცა ფხვნილი და უველა კუთხეში დაუარა. ზოგმა ჩვენთავანშა გემოთი ნახა, რა იუო ის ფხვნილი, იმის გაგება უნდოდათ; ნახეს გემო და ძლიერ მოეწონათ, ტკბილიაო, გვითხრეს. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, მევხედოთ და კვლანჭება დაწეუბინათ, თვალები გადმოუცვივდათ, იყორავეს და დაიხოცენ. სხვებმა, რასაკევირველია, ფხვნილს ხელი აღარ ვახელით. მაგრამ რა გამოვიდა, კი გერ გვიცხოვრია და; კატებმა და ხაფანგებმა ჩვენი დაგვმართეს. რამდენი შეილი დავგარგეთ, მოგონებაც-კი შიძის ზარისა გვცემსო.

ცოტა ხანს დავუავი იმათთან და უკეთესი საცხოვრებელი ადგილის საძებნელად წავედი. იქიდან წამოსული სარდაფები ჩავედი. ის ურიგო ადგილი არ გამოდგა— უქვილი, ერბო და სხვა საჭმელები ბლომათ იუო, ჭრისც გემრიელი ლორები ეკიდა. მეტი რაღა მინდოდა, — საჭმელი ბლომათ იუო და საძიმიც არა ჩანდა-რა. მაგრამ, შევხედო, ერთ მშვენიერ დღეს, თუმცა ჩემთვის ის დღე უბედური იუო, მობძანდენ დაუატიებელი სტუმრები — რამდენიმე გამდარი, დიდობონი ვირთავა. დამშეულები სარბათ გცნენ



ხორაგულს, უკელაფერი რომ შექამეს, მერე ჩვენ, ჰატარა
თაგვებს, მოგვეს ხელი. სადაც კი დაგვინახავდენ, გამოგვიდ-
გებოდენ და ბრალი იმისი, ვინც სოროში ვერ შეასწრებდა
და ხელში ჩაუვარდებოდა.

მალე თქვენი დაბადების ღღემაც მოაწია. მომავა ნდა
თაგვების ამბავი შვილების დაღუპვაზე, მომავონდა ბულბუ-
ლის ბარტევები და მწარეთ ჩავთიქრდი, ვაი თუ ამ წეველმა
ვირთაგვებმა ჩემი შვილებიც დაჭამონ მეთქი, შემეცოდეთ.
წამოვედი სარდაფიდან და ჯე დავსახლდი. დაისხომეთ შვი-
ლებო, რომ სიცოცხლეში უკელას ბევრი მწუხარება, ბევრი
განსაცდელი და უბედურება მოელის, უკელას ბევრი მტერი
ჰქონს. გაფისილდით ოქვენც, თორემ ცუდ უბრალოთ და-
ღუპებით. ადამიანს თავის ღღები ნუ მოშორდებით; რაც
უნდა საძიშვი იუგს იგი თავისი ხაფანგებით და ფსკილუ-
ბით, მაინც ჩვენ მტრებშა ეკ ბრიუვი მხეცი უკელაზე გულ
კეთილია. ამას გარდა, მდიდარია და მავ სიძიდრეში ჩვენ,
თაგვებსაც ქანონიერი წილი გვიძევსო». ასე არიგებდა და
ასწავლიდა დედა-თავი თავის შვილებს, რომ უცებ აო ახმა
ჩემი ძაღლი შემოვარდა და დანახვის უმაღლე თაგვებს ეცა-
კრთმა, შემით გონება დაბნეულმა, კულარ შეასწრო სოროში
და ძაღლის გბილებში გაება.

მისმ დაკუცა წიგნი და გაჩუმდა. გაჩუმებული იურ ბავ-
შიც, ეტეობოდა მისი გონება გაგონილს შეეჭრო.

— მერე რათ არის ქვეუნად უკელაფერი ისე მოწეობი-

ლი, რომ უთუოთ უკელანი ერთმანეთს უნდა დაგნიდენ, მტრობდენ და ეჩეუბებოდენ? დაიწეო ბაშმა — ნუ თუ უმაგისოთ არ იქნება?

— უკელა, არ იქნება. მერე რატომ არ მოგწონს ეგ ბრძოლა? აი როცა ქვეუნის ცხოვრებას გაიცნობ, მხოლოდ გადიას ამბებიდან-კი არა, არამეთ ადგილობრივ, ტექმი, მანდორში, ტბაში, მაშინ გაიგებ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეუნის წარმატებისთვის თავგანწირულ, სასტიკ ბრძოლას, როგოლიც ახლა ეგრე გეზიზდება, გმაგს. ცოტა მეტი მოშზადება რომ გქონოდა, გეტუოზი რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ჩსუბს. ჯერ შენ სომ ისევ გწამს, რომ ტექმები და წელებში ალები და ჭინკები არიან. მართალია, თუ არა?

ბაგშს შერცხვა და ხმას ვერ იღებდა.

— ზოგ რამეს ეხლაც აგიხსნი: წარმოიდგინე რომ ქვეუნაზე ჩსუბი და ბრძოლა მოისპო. ამისთვის საჭიროა დედამიწაზე აღარ იუკეს აღარც ერთი მტაცებელი ნადირი; დარჩენ მსოლოთ მმვიდი, უწყინარი მამოვარნი, როგორც მროსა, ცხვარი, თაგვები და სხვა. რა მოუვიდოდა მაშინ ქვეუნას? გეცოდინება, რომ მროსაც და ცხვარიც უოგელ წლივ იგებენ თითო შეიღს. აბა გამოთვალე, რაძენი მროსა და ცხვარი იქნება ქვეუნათ ხუთი, ათი წლის შემდეგ, რომ სბორებსა და ბატქნებს არავინა ხოცავდეს და უკელანი ცოცხლები



ოჩებოდენ. თაგვებზე თუნდა ნურას ვიტევით, თუმცა თითო თაგვი წელიწადში 50—60 თაგვს აჩენს. ვილაპარაკოთ მარტო ცხვრებზე და მროსებზე, რომლებიც ეგრე ჩქარა არა მრავლდებიან. ესენიც მოკლე ხანში ისე მოშენდებოდენ, რომ დედა მიწას მთლათ დაჭიარავდენ, მცენარეულობას სულ შეჯამდენ; ამას შეძევე შიშმილით უნდა ამომწედარივენ და დედამიწა დაუარიელდებოდა. ახლა-კი, თუმცა ქვეუნათ ბევრია მრავალ ნაირი მტაცებელი ცხოველი, მაინც არიან მაძოვარნიც და ბუნებაც სიცოცხლით სავსეა. აქედან ცხადია, რომ სასტიკი ბრძოლა, რომელიც არსებათა შორის არის ატესილი, ბოროტება-კი არ არის, არამეთ ქვეუნის სიცოცხლის არსებოთ საჭიროებას შეადგენს. თვით ეს ბრძოლა ცხოვრების შედევრია, როგორც ცოცხალი არგანიზები შედევრია ამ ბრძოლისა.

ჩეენ გვალცებს მაძღარი თაგვების, ჰატარა დედოფალების ჩეუბი, მაგრამ მოუძებნე მიხეზი და დაინარავ, რომ იმათი ბრძოლა გამოწვეულია შერისა და სიხარბისავან. საზიზღარი გრძნობებია ეს გრძნობები, მაგრამ იმავე დროს საჭირო. არსებობისათვის ბრძოლა რომ არ უაფილიურ ქვეუნათ, ასე განვითარებული არსებანი, როგორც ესლა არიან, არ იქნებოდენ. ეს ბრძოლა მიხეზია ფიზიკური და გონებითი განვითარებისა. ეს ბრძოლა სპობს უკელა სუსტს, მასინჯს და უგუნურს, სამაგიეროთ სელს უწეობს უკელა ღონიერს, საღს და ჰქონიანს. რაც უფრო ცხარე, გამწვავებული და

მედვარია ბრძოლა, რაც უფრო მეტ მსხვერპლს ითხოვს იგი, იმდენათ უკეთესია, რადგანაც ბრძოლაში იმარჯვებენ და ცოცხლები რჩებიან : ხოლოთ ღონიერი და გამოცდილი მეომრები. საკა ბრძოლა არ არის, იქ გამეფდება სიმჭიდვე, ძილი და სიკვდილი. ეოგელი ცხოველი უნდა ცდილობდეს: ჯერ ერთი, საჭილის შოვნას, და მეორე, მტრების მოცე-რებას, თუ სიცოცხლე უნდა. რაც უფრო კარგათ აქვს ცხოველს ორგანოები გაწყითარებული, იმდენათ იგი უფრო ღონიერია ფიზიკურათაც და გონებითაც, და ამ ორგვარ მიზანსაც უფრო ადვილათ ახწევს. ხოლო მეტ ღონესაც და ჰქეასაც ცხოველს ვარჯიშობა აძლევს. საჭიროა მუშა-ობა და ფიქრი, ასროვნობა და არა ძილი და უსაქმერობა. ახლა-კი გვემოუა, თორებ მალიან გაგვიგრძელდა ლაპა-რაკი; აგერ საღამომაც მოატანა, მაღდი ტექმი წავიდეო, ჭინკები დავიჭიროთ, დაათავა ხუმრობით ძიამ.

კოტე ელიოზიშეილი.



„ახია ჩემი, ახი!“



არდინონ რამაზაშეიღს, როცა ცოლი მოუკედა,
ერთათ ერთი შეიღლი ჩეზო წლინახევრისა დარ-
ჩა. ამ დღიდან ჩეზოს დელბასაც და მა-
მობასაც სარდიონი უწევდა. მეტის-მეტი
ალექსით და ლოლიაობით ზრდიდა სარ-
დიონი შეიღს, ყოველს მის სურვილს,
ეინს უსრულებდა და დედის ალექს მოკ-
ლებული ჩეზო მამის კალთის ქვეშ იფურჩქნებოდა.

თავალი რამაზაშეილი ცხოვრობდა ქ. სანში და კარგ ოჯახისშეი-
ლათ იყო იგი განთქმული. ის ამ ერთ შეილს შეტყურებდა და მისი
მომავალი იყო სარდიონის იმედი და სიცოცხლე.

ლალათ, თავისუფლათ და ნებირათ აღზრდალ ჩეზოს სკო-
ლის დროც მოუყიდა. მამამ თბილისში ჩამოიყანა და პირველ გიმ-
ნაზიაში მიაბარა. სარდიონი-კი მამულის მოვლას, ოჯახს თავს ეკრ
ანებებდა და ძალა-უნებურათ ჩეზოზე მეთეალუფურეობა სხეისა-
თის უნდა გარდაეცა. მისი ბინათ დაყენება სარდიონში გიმნაზიის
პანსიონშიერ ამჯობინა.

პარელ ხანგბში ჩეზოს ძრიველ ექამუხებოდა გიმაზიაში ყოფ-
ნა და განსაკუთრებით-კი პანსიონში, სადაც მისი ყოველი ნაბიჯი

გაზომილი და გამოთვლილი იყო... რეზო-კი სრულიად არ იყო მინ-
ვეული ასეთ კარისაკეტილ ცხოვრებას.

იგი ქ. სანში თითქმის მოელ დღეს გარეთ ცელქობაში და
მოძრაობაში ატარებდა. ერთხელაც არ გაუგონია გაჯავრება, და-
ტუქსეა და მაღალი სიტყვა. მამის ალექსი, მისი ტებილი მოსიუვა-
რულება ახლაც-კი აცხოველებდა მის ბუნებას.

ახლა? ახლაც ეუბნებიან: მთელი საათობით კლასში უძრავათ
და მასთან ჩემთა უნდა იჯდე, აქეთ-იქით მიხედვაც-კი არ გამდედო!
ხუთს საათს ასე იჯექი და მერე შევიძლიან ერთ საათს ეზოში გახ-
ვიდე და იქ ითამაშოვო!

როგორც პატარა ცუგრია ძალის დაბამენ ხოლმე და ის-კი
საჭარუნავათ და საცელქოთ მიიწევს, ისე რეზო იყო მიჯაჭვეული კლა-
სის სტოლთან და იქიდან ვერ იძროდა. და ეს ხომ მისთვის დიდი
ტანჯვა იყო, სულის შეხუთვა...

დიდხანს ვერ გაუძლო რეზოს ლალმა და მოძრავმა ბუნებამ ამ
უმოძრაობას, მიჯაჭვას... მისი სხეული მოძრაობას თხოულობდა და
რეზომაც დაიწყო გეერდზე მჯდომ ამნანაგების მუჯლუგუნების ცემა.

დღითი-დღე ეს მისი მოძრაობა მატულობდა და ბოლოს სი-
ცელქოთ გარდაიქცა.

ახლა გიმნაზიის წესებს ისე აღარ ემორჩილებოდა, როგორც
პირეელათ, გაკეთილების დროს დაუწყო ამხანაგებს ძიგილაობა: წაუჩინენებდა ხან ერთს, ხან მეორეს და მოსევნებას არ აძლევდა.

მასწავლებელის გაჯავრება, შენიშვნა თუ პირეელ ხანებში მოქ-
მედობდა ხოლმე მასზე, ახლა იმასც უკერძებოდა. რეზოს თითქ-
მის ყოველ გაკეთილზე მასწავლებელი გარეთ გააგდებდა ხოლმე,
რათა მყუდროება დაემყარებინა კლასში. რეზოსაც ხომ ეს უნდო-
და: ეზოში გააჩნდა შოლტის თამაშს, ჩირიკაობას და ამ რიგათ ირ-
თობდა თავს გაკეთილის გათავებამდე.

სიცელქეს სიზარმაცეც მოჰყვა. გაკეთილებს უგულოთ ექცე-
და და ბოლოს წიგნს ხელშიაც აღარ იღებდა. მისი ფიქრის საგანი

მხოლოდ ის იყო, თუ როდის დაითხოვდენ საშობაოთ, სააღდგო-
მოთ და სხვა უქმებელი, რომ მამასთან წასულიყოთ...

ამის გამოთვლას სექტემბრიდან იწყებდა, წუთობით იცოდა
და ეს დრო. რის გაიგალაპით რეზომ გიმნაზიის მესამე კლასამდე
მიახწია. ახლა უფრო და უფრო უმატა ცელქობას: ხან აიღებდა
ყელზე მოსახვევს, შესევენების დროს შეიპარებოდა კლასში, გამოპა-
რიდა ბუხრიდან ნაცარს და იმ ყელსახვევით მთელ კლასში ნაცარის
კორიანტელს დააყვენებდა. რასაკვირველია მასწავლებლის კლასში
შესვლა და სწავლება შეუძლებელი იყო და მით რეზო თავის მი-
ზანს მიაღწევდა—გაკვეთილი „გამებოდა“, როგორც თვითონ რეზო
იტყოდა ხოლმე.

ხან კიღევ ცოცხალ ბაყაყს, თავეს მოიყენდა კლასში, გაუშ-
ვებდა ოთახში გაკვეთილის დროს და ერთი ქრიამული და წიოკო-
ბა ატყდებოდა შეკირდებში. ამით რეზო დიდათ სიამოენებდა. ხან
კიდევ ქინი მოუვლიდა რისამე გატეხისა და, სიჩუმეს რომ შეამჩნევ-
და, დასტებდა ფანჯარას ხელს და რამოდენიმე შუშას ერთათ ჭახანს
გადენდა.

გაკვეთილის დროს კიდევ ათას რამეს ჩადიოდა: ხან რაღაცა
უცნაურ ხმაზე დაიკიცლებდა, ხან დაუსტევნდა და სხვ.

გიმნაზიაში ყოველი ღონე იხმარეს რეზოს გასაწრთენელათ,
ყოველი სასჯელი სცადეს მის მოსარჯულებლათ, მაგრამ ყველა ეს
„მგლის თავზე სახარების კითხვა იყო“.

ერთი-ღა დარჩა სასწავლებლის მართველობას. „მოურჯულე-
ბელი რეზო“ სასწავლებლიდან უნდა დაეთხოვთ.

წერილი წერილზე მისდიოდა საჩდიონს რეზოს უწეს-რიგო
ქცევის შესახებ, ბევრი უსიამოენობა მიაყენა ამ გარემოებამ მას, მაგ-
რამ ჩა იზამდა. უკანასკნელათ სწერდენ: რეზო გამოგდებულია და
წაიყვანეო.

წელ-მოწვევტილი საჩდიონი მიემგზავრებოდა თბილისისკენ გა-

უბედურებულის და მასთან მისთვის საყვარელ შეილის გიმნაზიიდან გამოსაყვანათ.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე? ის ერთი შეილი მყავს და ისეც ასეთი უბედური გამოდის? — ეკითხებოდა სარდიონი თაეს თაეს. გადასწყვიტა კერძო პანსიონში მიეცემ, იქნება იქ როგორმე გასწორდეს და მერე რომელიმე გიმნაზიაში მივაბარებო.

ამ გარდაწყვეტილებით მიერთ სარდიონი გიმნაზიაში, მიიღო რეზოს „დოკუმენტები“ და ბაეში თან წამოიყვანა.

— შე საძაგელო, შენა! შე გვარის შემარცხენელო, არა გრტენიან, რომ გიმნაზიიდან თავი გამოაგდებინე? წავათრევ შინ და მენახირეთ დაგაუყნებ! შენ მეტის ლირსი არა ხარ!! ეუბნეოდა სარდიონი გამოპანჩურებულ რეზოს, რომელსაც სირცხვილით ძირს დაეხარა თავი და მალლა ვერ აელო. გულში-კი რეზო საწყენს ვერასა გრძნობდა. წაიყვანდა მამა სოფელში და იმასაც ის უნდოდა! უფრო-კი უხაროდა, რომ ლათინურის მასწავლებელს, რომელიც ძალიან ეჯაერებოდა და მეტ სახელათ „ლადნას“ და „პეტრუშკას“ ეძახდა,— მოშორდებოდა. თუ სხვა სასწავლებელში მიაბარებდა მამა იქ სხვა ახალ ამხანაგებს გაიცნობდა და თავის თინებს მათაც გაუზიარებდა...

რომ შეგვეცნათ ამ წუთში მისთვის, გეგონებოდათ დიდათ სწუხსო და თავის საქციელის სინანულშიაო, ისე მოექუშა და მოელრუბლა სახე.

— კარგათ ვისწავლი, მამავ... მაპატიე... — წაილულლუდა რეზომ, ეითომც მამის პასუხათ.

— როდის-და უნდა მოხვიდე გონს? მთელი სასწავლებელი არიყ, ანითარე და ახლა მეუბნები კარგათ ვისწავლიო? გაემიჩდე ხმა შე ურცხვო, საძაგელო. ჩაგადებ პანსიონში და იქ დაგალპობ. თავის დღეში აღარ წაგიყვან ჩემთან, იქაურ ღრუბელს ველარ დაინახავ...

ჩაბარა სარდიონშია პანსიონს რეზო და ისე წამოეიდა, რომ არც ხელი ჩამოურთმევია შეილისათვის და არც შეუხედნია.

ამ დროს ჯოვანეთი ენთო მამის გულში: ერთის მხრივ შეი-

ლის გაუმცედურება, მისი მომავლის ცუდა ბედ-ილბალი — ამაზე ფიქრი და მეორეს მხრით სარდიონის სულიერი ტანჯეა, იმის შესახებ, რომ თავის საყვარელ შეილს რეზოს, თავის ერთათ ერთ საუჯერა ერთი ტკბილი სანუგეშებელი სიტყვაც არ უთხრა, ხელიც-კი არ ჩამოართვა, სიცოცხლეს უწიმლავდა მამას!..

— ღმერთო! ეშმაკისთვის შეაფურთხებინე და კეთილ გზაზე დააყენე ჩემი რეზო! — მიიღაპარა კებდა სარდიონი და თან მდუღარე ტრემლებს აბნევდა... .

II

ისეთი ტკბილი, მეგობრული მამა-შეილობა ჰქონდათ რეზოს და სარდიონს, ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ყოველთვის ორივეს განუშორებელი და მასთან გულითადი სურვილი ჰქონდა ერთმანე. თის ნახეისა.

სარდიონი მალე იციწყებდა ფუფუნებით გაზრდილი შეილის რეზოს ცუდათ სწავლას; ცელქობას პპარიებდა ხოლმე და ყოველ დღე-სასწაულებში თავისთან ჰყაედა ქ. სან მი. არც ერთ წელიწადს რეზო თბილისში არ დაჩინილა. ეს იყო ხოლმე რეზოს მუდმივი სასიხარულო და სანეტარო ღრო.

წელს-კი სარდიონში გადაწყეიტა რეზო აღარ მოეყვანა, დაეტოვებინა იგი პანსიონში „ალფონსა“ და მით დაესაჯა, თუმცა საყვარელი, მაგრამ ურჩი შეილი.

— ერთხელ მაინც უნდა ავასრულო ჩემი მუქარა: დაევიტუქ-რე არ წაგიყვან სანშა-მეთქი და მართლაც ასე იქნება. — ასე ფიქრობდა სარდიონი რეზოს შესახებ.

რეზოს-კი ამ ღროს პანსიონში სწავლა აღარა ჰქონდა. თუმცა კი, სწორე რომ ითქვას, მეცადინეობით არც ერთ ღროს არ იწუხებ. და თავს, ისევე ზარმაცობდა, როგორც გიმნაზიაში.

ახლა ღრ კვირას თავისუფალი იყო და ოცნებობდა სანში მა-

მასთან წასელაზე. აგერ უკვე ბზობის წინა პარასკევე საღამოა მოახლო-
ვებული, „ორ-თელიანიც“ (ასე ეძახდა იგი მამის პატარა ჩასაჯდომს)
ჩამოვა რეზოს წასაყვანათ და ამისთვის რეზო თითქოს ნაჩხე ზისო
ისე ცმუკადა... პარასკევმა გაიარა, აგერ ბზობის წინა შაბათიც
ლამდება, მაგრამ რეზო ისევ თბილისშია.

— ნუ თუ მართლა არ წამიყვანს მამა სახლში? ეკითხებოდა
ხოლმე რეზო თავის-თაეს, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ეს არაო-
დეს არ მოხდებოდა: ალბათ რამე მიზეზი გამოუჩნდა და ამიტომ
ვერ გემოგზავნა მამამ ჩემს წასაყვანათაო. მისი აზრით საღამომდის
უნდა უსათუოთ გამოჩენილიყო „ორ-თელიანი“ და თვალი გზისკენ
ჰქონდა.

აგერ დაბინდდა კიდეც და მაინც არაეინ ჩანს.

რეზო, ეს ცელქი ცრიალა რეზო, მიუუჩდა, გულმა არა სასია-
მოენოთ დაუწყო ტოკვა. მიხედა რომ რაღაცა ხდებოდა, „არ მეხუმ-
რებიან და აღფგომას ამ ოხერ ქალაქში გამატარებინებენ“ - ა.

ბზობა კიდეც გათენდა. დალონებული რეზო ზას ფანჯრის-წინ
და გზისაკენ იცქირება. ეჩვენება რომ ახლა იგი სოფელშია. ახლათ
მისული, ახალ ტანისამოსში გამოწყობილი რეზო ნაცნობებში და-
ნაერდობს. ქუდში ბზა აქვს გარკობილი და მთელი დღე ისე დაქ-
როლავს სანში, ცდილობს „ყვაება არ დ . . . ოს, — დასჩხელოს“.
ამას ოცნებობს ფანჯარასთან მჯდომი რეზო. ამ დროს ერთ-
მა მოწაფემ სიმღერით კარი შემოაღო და რეზოც გამოერკვა. მწა-
რეთ აუკენესდა გული და ორიოდე ცრემლიც ჩამოუგორდა თვა-
ლებიდან.

დიღი-ოთხშაბათ საღამოა, მაგრამ რეზოს წამყვანი ჩაინც არა-
ვინა ჩანს! ბინდმა კიდეც დაჰკრა. პანსიონიდან მოჩანს რამდენსამე
ადგილას დანთებული „ჭიაკოკონა“.

— განა ეს ბეჭუტავს ხოლმე ჩემი „ჭიაკოკონა?“ გაითქმა და-
ღონებულმა რეზომ.

და მთელი „ჭიაკოკონიბის“ სურათი თვალ-წინ წარმოუდგა:

ჯერ ეითომ წაეიდენ საღამო ხანზე შეგროველი ბიჭები რეზოანთ ბალ-ში, წაიღეს საცერი, აეიდენ ატამზე და სათითაოთ გაიხედეს „იალ-ბუზისაკენ“, რათა საცრით დაენახათ, თუ როგორ ქორწინობდენ კატებზე შემჯდარი კუდიანი ეშვაკები... ამ ღამეს ყველამ დაამწევ-დია კატა თორნეში, დახურეს ზედ ფიცრები, რომ ეშმაკებს იალ-ბუზზე არ წაეყარათ. მათი ღრმა-რწმენით ეშმაკებს იმ ღამეს ყველა კატები იალბუზზე მიჰყევთ და დილით ისევ უკან ჩაპოყავთ. ენის-ადგმისათანავე მათ ასე აქეთ ჩაგონებული ყველასაგან და ამისა-თვის ბავშებს გონებაში სულ კუდიანი და რქიანი კატები ელანდე-ბათ ხოლმე და ერთმანეთს უხსნიან, თუ რას შერება თვითოვეული ეშ-მაკი, რომლებსაც ისინი ეითომ ხედავენ.

აგრე რეზოსაგან ვენახში ნაგროვე კაჭაჭი აკოკოლავებუ-ლი აწყვია შეგ შეუ ეზოში. „გაჩნდა სანში „ჭიაკოკონა“. მთელი სანი კვამლში და ალში იწეოს. გოგო-ბიჭები რიგ-რიგათ მიღიან ერთმანეთთან, უკიდებენ კაჭაჭს ცეცხლს და ჭიაკოკონაზე ყველა სი-ცილ-ხარხარით ხტება. ზოგს კაბა ეწეოს, ზოგს ქუდი უვარდე-ბა შეგ, ზოგიერთა დონდლო ბიჭი შიგაც გარდება და ყველა ეს იწ-ვევს მათში მხიარულ იხუნჯობას და სიცილ-ხარხარს?..

ბოლოს ინთება რეზოს ჭიაკოკონაც და ყველა დანარჩენებს იმისი სჯობიან. ზეცას ადის მისი ალი და ტკაცა-ტკუცი. რეზო მხო-ლოთ მაშინ გამოიჩინა ამ ოცნებისაგან, როდესაც ჩაის დასალევათ ზარი დაურეკეს.

უკვე წითელი-პარასკევიც გათენდა, მაგრამ რეზო ისევ პანსი-ონის კედლებს შესკუნერია. იმედ-მიხდილი დალასლასებდა რეზო აქეთ-იქით, მოწყენილი, მოწყვეტილი და არეული. ველარავინ ეცნობდა ახლა რეზოს; დღეს ის რეზო აღარ იყო, რომელიც მთელ გიმნაზიას და პანსიონს ანიორატულებდა.

ასე ძრიელ არასოდეს არ მონდომებია რეზოს სახლში წასელა.

— „ოჳ, ნეტავ ახლა-კი წამიყვანოს მამაჩემშა და მეტი არამინდა-რა“. იმეორებდა თავისითვის რეზო.

დღეს წითელ პარასკევია: დიღა აღრიანათ რეზოს სახლის წინ ჩამ იყლის, როგორც ყოველ წელს, საფლავების საკურთხებლათ „კიოჭა-მღვდელი“, „ლართხა-დიაკეანი“ და „შარი-კიკა-მნათე“, კალათ-ხურჯინებით და ამ დროს რეზო მშათ უნდა იყოს მათ წა-საყოლათ. სალფეტკში რამდენიმე წითელი კერძოცხი, წმინდა სამთე-ლი და ხილი ჰქონდა ხოლმე გამოხეყული რეზოს, დედის საფლავზე საკურთხებლათ. იქ მთელ დღეს უკან სდევდა მღვდელ-დიაკეანს და შესცემოდა, თუ რა მადიანათ და ხალისით ალაგებდენ ისინი წი-თელ კერძოცხის ხურჯინში. ზოგჯერ ბიჭები, რომლებიც უკან და-დევდნ მღვდელს, მოსტაცებდენ ხოლმე „ლართხა-დიაკეანს“ ნა-კურთხ კერძოცხის და ერთი კიუინა და ლანძლვა-ვინება ატყდებო-და სასაფლაოშე. ყველა მკედარს რომ მიუღოცავდენ „აღდ-გომას“, მაშინ გატენილი ხურჯინ-კალათებით დატეირთული მღვდელ-დიაკეანი და მნათე „იჩქითიანთ ორ-ლობეს“ აჰყებოდენ და თავიანთ ეკლესიისაკენ გადაუხევედნ ნადაელის გასაყოფათ.

რეზო აქაც აეტორლიალებოდა ხოლმე მათ უკან და, სანამ მოწმეთ არ გახდებოდა გაყოფისა, არ მოშორდებოდა. ყველა ამის უურება მას დიდ სიამოენებას აგრძნობინებდა. რეზოს ძალიან უყ-ვარდა ეს დღე!

ახლა? ახლა-კი გამოუმწევდებათ პანსიონის უკულო — შეუბრა-ლებელ კედლებში და სევდით გულს უსიებენ.

დღეს სრულიად გადაუწყდა იმედი: „ალბათ მამაჩემი ძალიან ჯავრობს და ალარ მიუყევარ, დღეს უჩემოთ უნდა შელებოს იმან წითლათ კერძოცხი?!!“

III

სარდიონ რამაზაშეილი ამ დროს ერთ ყოყმანში იყო. მოეყვა-ნა საალდგომოთ შეილი, თუ არა? თუმცა თბილისშივე გარდასწყვა-ტა მისი მოუყვანლობა, მაგრამ გული ალარ უსევნებდა, რომ ალდ-



გომა დღეს ჩეზო გვერდით არ ჰყოლოდა. ეს მისთვის საშინელი სატანჯველი იქნებოდა.

ერთს რომ გადასწუყებულია, უნდა მოვიყენოვო მაშინვე ზედ დაყოლებდა: „არა და არა! ერთხელ მაინც უნდა დაესაჯო, იქნება ღმერთი იწამოს და მორჩულდეს“—ო, თუმცა ეს სასჯელი მარტო ჩეზოსათვის არ იყო, სარდიონიც ისჯებოდა. დადგა თუ არა დღე ჩეზოს დათხოვისა, იმ დღიდან ყოველ წუთს ამ კითხვის გადაწყვეტაში იყო და ყველას ამას ეკითხებოდა: რას მირჩევთ მოვიყენო ჩეზო, თუ არაო!

ზოგნი ეუბნეოდენ, უნდა მოვიყენო, ბაეში უფრო დაიჩაგრებაო. მეორენი-კი ურჩევდენ არ მოვიყენა, იქნება ამით ცოტათი დაირცხვინოს.

თეთვი სარდიონის გული და გონებაც ამის გადასაწყვეტათ ერთ-მანეთს ებრძოდენ.

გონება ჩასჩურჩულებდა:—არ მოვიყენო, თუ გინდა ჩეზო ადამიანათ იქცეს“—ო!

გული ამ დროს აქარწყლებდა ამ ჩაძახილს და მრავლად უმეო-რებდა:—მოიყენე შენი საუნჯე, დასტკბი მისი ცქერით! იქ მარტო ნუ სტანჯავო! ბექრჯელ ამოუჯდა გული სატირლათ, როდესაც სახლში მიიხედ-მოიხედავდა და ჩეზოს ხმა არ ესმოდა და ცელქობას არ ხედავდა.—ო, თუ არა?!.. ეს საკითხი მუდაშ თანა სდევედა მას მთელი ერთი კვირის განმავლობაში.

შუა-ღამე იყო, როდესაც ზარების წყარა-წყური გაისმა. თითქ-მას მთელი თბილისის ზარები ერთათ იჩეკებოდა და ეს ბოხი და წმინდა, ერთმანეთში აჩეული ხმები, მთელს ქალაქს ეკლესიისაკენ იწევდა აღდგომის დღესასწაულის შესახეველრათ. ქუჩებში მოძრა-ობამ იმატა, ყველა აღელვებული ეკლესიისაკენ მიეშურებოდა, ეჩქა-რებოდა, რომ მღვდლის პირველი სიტყვისათვის — „ქრისტე, აღსდგა“— სათვის, მიესწრო.

ზოგს ხეირიანათ არც-კი გამ. ელეიძნა, ისე უაშროთ მისდევდა ხმაურიბას.

რეზო ამ დროს ლოგინში იყო გატერენილი და მღულარებით ისმენდა ზართა რეკას. პატარა ხანს სუნთქვაც შეიკავა და უნდოდა ამ ზართა ღრიანცელში თავიანთ ეკლესიის წმ. გიორგის ზარის წარუნიც გაეგონა, ეპოენა მისი პატარა რაკ-რაკიც, მაგრამ ამათ. ის სანეტარო ხმა მას ყურს ვერ მოხვდა და ახლა-კი დაჩწმუნდა, რომ მისთვის „აღდგომა“ აღარ იყო. დაჩწმუნდა რომ „კიოჭა-მლედლის“ ხმას, მააგან ნახარებ „ქრისტე აღსდგას“ ვერ გაიგონებდა. წარმოუდგა თავიანთი პატარა ეკლესია ხალხით გაჭედილი, კვერცხების გაჩაღებული გაშინჯვე-გამოშინჯვა და რაკ-რუკი.

ამოუჯდა გული და თავის თავს ესაუბრებოდა: „კველა ლი-ტონიაზე მიდის და მე-კი...“

— „ახია ჩემზე, ახი! სულ ჩემი ბრალია“...

ასე გაათენა რეზომ მთელი ღამე, მის თვალებს ძილი არ მიჰკარებია.

დილის თორმეტი საათი იყო. ქალაქი ხელ ახლათ ახმაურდა. ცოტახნის შესეენების და ძილის შემთევე გამოიიფხიშლა ქვეყანამ და ერთმანეთთან მიეშურებოდენ „აღდგომის მისალოცათ.“

რეზო ამ დღესაც გმარტოებული იდგა ფრჯარასთან და-ლურემილი, ნამტირალეერი და დასიბული თვალებით ქუჩისაკენ გაი-ცქირებოდა. ფაქრი? — ფიქრი მისი ისევ მამისკენ იყო მიმართული.

ამხანაგებიც აღარ ეყარებოდენ რეზოს, რადგან ღიმი ველარ მოჰკვარეს და ხმა ვერ ამოალებინეს.

დღეს ხომ რეზო აღარავის მოჰკონებია. კველა საკუთარი სიხარულით და მღელეარებით იყო გატაცებული და რეზოსთვის აღარავის ეცალა.

ბაეშება ეზოში თამაშობდენ, როდესაც პატარა ჩასაჯლომშა შემოაგრიალა პანსიონის ეზოში.

— მამა შენი მოეიდა, მამა შენი, რეზო!! შემოცველენ ამხანა-
გები ყველა ერთათ და გარს შემოეხეინენ.

რეზოს ეს ტყუილი ეგონა და დაცინებათ მიიღო, მაგრამ ამავე
დროს შემოეიდა თვით საჩდიონიც და ქვითინით გადაეხეია შეიღს.

— ქრისტე აღსდგა, შეიღო რეზო! ქრისტე აღსდგა!

— ქვეშმარიტათ, მამიღო!

— ჩემი ბრალია ჩემი! ახია ჩემზე, ახი, მამიღო! გულამოსკენი-
ლი ტირილით გაიძახოდა რეზო და მაგრათ ეხვევოდა თავის საყვა-
რელ მამას.

ახლა-კი რეზოსიც „აღდგომა“ იყო. ერთ საათს შემდეგ მათი
„ორ-თვლიანი“ ქ. სანისკენ მიაქროლებდა.

—
ამ დღიდან რეზომ მეცადინეობა დაიწყო და ერთ საუკეთესო
შეგირდათ ითვლებოდა მეორე გიმნაზიაში.

აღ. სოლოდაშვილი.



ქაპიტანი იაკობ ჭუკი.

IV



ამდენსამე ხანს იჯდა იაკო და ცრემლიან
თვალებით შესცეკროდა შარა გზას, არ
იკოდა საით წასულიყო, ამ დროს გაიარა
მოხუცმა პასტორმა და, რომ დაინახა ნამ-

ტირალეე ყმაწეილი, შედგა.

— რას აკეთებ აქ, ბავშო? გზა დაგებნა თუ ისეენებ? ჰკითხა
პასტორმა.

— მე ერთი სისულელე ჩაეიდინე და სინანულში ვარ, მაგრამ
გვიანღაა, უპასუხა იაკო კუკმა.

— რა იყო, მითხარი, იქნება ეშველოს რამე შენ უბედურებას.

იაკო ნალელიანათ უამბო თავის თაუ-გადასავალი, პასტორმა
დაუწყო ნუეშის ცემა.

— ვინ იყის, თქვა იმან, იქნება ამას უფრო კარგი ბოლო
მოჰკევს, ზოგჯერ არ ვაკით რა უფრო სასურველია ჩეენთვის; ხში-
რათ უბედურებას ბედნიერება მაჲუკება ხოლმე. რა იყი რა მოგე-
ლის, მე გირჩევ დაბრუნდი სახლში დედ-მამასთან.

— დედა აღარა მყაეს, მომიკედა და მამაჩემს, ჩემს გარდა, კიდევ
რეა შეილი ჰყაეს.



— მაშ სოხოეე კიდევ მფარენელობა თომა სკოტს?

— იმან ერთხელ დამაბინავა ვაჭარ კენწედთან, ჩემი სულელობით გამოვედი იქიდან, და ახლა როგორ-ლა რამესა ეთხოე!

— მაშ ისე მოიქეცი, როგორც გჯობდეს, მე რომ შენი ვიყო-კი კენწედთან დაებრუნდებოდი. თუ არ გრძა, ევ შენი საქმეა. გახსოვდეს მხოლოთ სადაც უნდა იყო, ვისთანაც უნდა იყო, ყოველთვის პატიოსნათ მოიქეცი, ნუ აუცევე სწორე გზას და ღმერთი მოწყალეა, კაი კაცი გამოხვალ. ამას გირჩევ, როგორც კაი მეგობარს და მოდი ძმურათ გავიყოთ ის, ჩაც ჩეენ ორთავეს გვაქს, გაშ მომე ნახევარი შენი ქონებისა.

— მე ოთხი შილინგი მაქვს და აი, გაძლევ ორს, უთხრა მნია-რულათ ყმაწეოლმა.

— გმადლობ. მერე პასტორმა ამოილო ჯიბიდან ორი ოქრო და ერთი მისცა ბაეშს.

იაკოს გაუკეირდა და არ აპირებდა გამორთმევას.

— ჩეენი პირობა განა ასე არ იყო, რომ ძმურათ გაგვეყო, მე თუ ნახევარი გამოგართვი, რატომ ჩემგან-კი არ იღებ ამ ოქროს? არ გარეა, რომ ასე იქცევი, ნუ იქნები თავ-მოყეარე. ეს ფული მე მომცა ერთმა მდიდარმა ქალმა, რომლის შევალი წყალში დახრჩობას გადავარჩინე. ის მომცემს ხოლმე წელიწადში ოთხ ამოდენა ფულს ღარიბებისთვის დასარიგებლათ.

იაკომ გამოართვა ოქრო.

— არ იქნება, რომ ბარათი მიმიწეროთ იმ ქალთან, იქნება სა-მუშაო რამე მიშოვოს.

პასტორმა ამოხია თავის უბის წიგნიდან ქალალდი, დასწერა ორიოდ სიტყვა და მისცა ყმაწეოლს, მერე აუხსნა, როგორ უნდა მიეგნო მისტრის ღუნკანის სახლისათვის, გამოესალმა ყმაწეოლს და გაუდგა თავის გზას.

ყმაწეოლი გამხიარულდა, მარდათ გასწია ნიუკესტლში და თან ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამისთანა კვთილ პასტორს შეხვ-

და. ამან მაღვე მოძებნა მისტრის დუნკანის ბინა. სახლი დიდი და მშენებელი იყო, ეკებერთელა ეზოთი, სადაც აუარება მუშა ტრია-ლებდა.

შუა ეზოში იდგა ერთი კაცი, რომელიც უსათუოთ თეოთონ ამ სახლის პატრიონი იქნებოდა, რადგან ყველა მას ეხევოდა და ისიც ბრძანებას აძლევდა. იყო კუკი მოშორებით დადგა და ელო. და, სანამ მას რასმეს ჰქითხადედნ.

დუნკანი ყველას ალექსით და თავაზიანათ ელაპარაკებოდა, ცოტ-ცოტა კარმიდამო დაცარიელდა, მხოლოთ ორი-სამი კაცი-ლა დარჩა. ბოლოს სულ უკანასკნელს ჰქითხა:

— ჯონ, მეონი გავათავეთ საქმე? ახლა-კი წალ!

— საქმე გავათავეთ, მაგრამ კიდევ ერთი რამე მაქს სათქმელი, წუხელის უკურათ მოკვდა გემის ერთი მოსამსახურეთაგანი, უნდა მის მავიერ სხეა ჩაეყინოთ.

იყო კუკიმ ყური მოჰკრა თუ არა უცბათ წამოიძახა:

— გთხოვთ მაგ ადგილში მე ჩამაყინოთ.

— შენ ვინა ხარ? ჰქითხა გაკეირებით დუნკანმა.

— ყმაწეილმა მისუა პასტორის ბარათი და საჩქაროთ თქვა: — მე ვარ იაკობ კუკი, მამაჩემი თომა სკოტაუს მამულში მეშაობს, ცხრა და-ძმანი ვართ, ყველაზე უფროსი მე ვარ, მეცამეტე წელი-წალში ახლა ჩაედეჭი.

— მე არ მეკითხება ეინცა ხარ, ისიც საჭმირისია, რომ პასტორ-მა გამოგზავნა ჩემთან. ჯონ, ჩააყინე ეს ყმაწეილი საქმეში, შენთვის მომიბარებია.

კუკი მაშინვე წაპერა თავის ახალ უფროსს. ის უბედური და-კარგული შილინგი იყო მიზეზი, რომ კუკი გამოვიდა კენწედიდან, მიებარა დუნკანთან და გახდა მეზღვაუეთ. და ბოლოს მოიხეეჭა სა-ხელი გამოჩენილი ინგლისის მეზღვაურისა.

თავდაპირეელათ იაკო გემზე უბრალო მოსამსახურეთ იყო, მერე უფრო კარგი ადგილი მისცეს, ბოლოს, როცა ატყდა ომი ფრანგებსა და

ინგლისელებ შორის, კუკს შეეშინდა, ძალით არ ამიყენონ იმ გეჩზე, რომელიც უნდა საომრათ წასულიყო და დაიმალა, მერე-კი თეო-თონ მოვიდა გონჩე, გამოცხადდა უფროსთან და მისცეს კიდევ სამსახური.

კუკიმ მალე სახელი გაითქვა თავისი კუუით და მამაცობით. აღმირალმა ახლო გაიცნო კუკი და ძალიან შეიყვარა.

მალე კუკს ისეთი ბედნიერი შემთხვევა მიეცა, რომ შეეძლო თავი ეჩინა სახელმწიფოს წინ და მისი ღვაწლიც დაეფასებინათ.

1759 წელს კუკი გაემგზავრა ხომალდით კანალაში, ამ ხომალდზე ის იყო უფროსი მეზღვაური. ის იმ დროს მივიდა კვებეკს, როდე-საც ღენერალი კოლეფი იერეშით მიადგა ამ ქალაქს. კუკი ზომამდა და არდენდა კუნძულ ორულეანის რუქას და რადგან მისი მუშაობა უფროსებმა მოიწონეს, მერე შეადგინა მდინარე სენ-ლორანის რუ-ქაც, რომელიც ისე კარგია, რომ აქამიმდის ხმარობენ.

იაკობ კუკმა როდესაც ატარებდა გემს ჩრდილოეთ ამერიკის კი-დევბთან, შეისწავლა ასტრონომია, მალე მიიღო გემის კაპიტანბა და მთავრობამ გაგზავნა იგი სამეცნიერო გამოსაკულევათ ზღვისა და ოკეანისა. მან მთელი დედამიწის რუქა შეადგინა და აღმოაჩინა ბევ-რი უცნობი აღვილები და წყლები, რომლითაც დიდი სიკეთე მოუტანა მთელ ქვენიერებას.

1763 წელს ყველა მეცნიერების ყურადღება მიქცეული იყო ერთ მეტათ შესანიშნავ ასტრონომიურ მოვლენაზე. უნდა გამოეკვ-ლიათ ასპიროზი როდის გაუელის მზეს და იმითი შეეტყოთ მზიდან დედა მიწამდის რამდენი მანძილია. ამ მიზნით მთავრობამ კუკი გაგზავნა ერთ-ერთ ოკეანის კუნძულზე.

იაკობ კუკი იყო არა თუ გამოაჩინილი მეზღვაური — კაი კეთი-ლი კაციც, ყველაზე უწინ მიაქცია მან ყურადღება გემზე მოსამსა-ხურე მუშების მდგომარეობას, იმათ ჯან-მრთელობას და ამიტომაც სახელმწიფოსაგან დაარსებულ „კაცთა-მოყვარე საზოვადოებამ“ იყი დააჯილდოვა.

მისი თანამედროვეენი აი რასა სწერენ მასშე: „კუკი იყო მაგარი აგებულობისა, ჯან-მრთელი და ამტანი უზომო შრომისა. მიჩვეული იყო უბრალო საჭმელ-სასმელს. მისი სულიერი მღვმარეობა ისე-თივე მაგარი იყო, როგორიათაც მისი აგებულობა. გამჭრიახი, შრის მხედველი, სწრაფათ გადასწუვეტდა მსჯელობას და არც არას დროს არ შესცდებოდა. ყველა სიძნელეს ადეილათ დასძლევდა, ერთხელ ამორჩეულ გზას არ გადუხვევდა, და გმირულათ დაუხვედებოდა ხოლმე ყველა საშინელ უბედურობას. ის იყო მართლის მთქმელი, პატიოსანი და თავაზიანი კაცი“.

კაპიტან კუკი მოჰკლეს 1779 წელსა ერთ სანდეიჩეის კუნძულზე ელურმა ხალხმა.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



თამარ მეფე.



III

თელის ერთის საუკუნის შემდეგ გას წიეს ქართველებმა, და მათმა მეფეებმა, დაგვირგვინ-და მით, რომ თამარის მეფობაში საქართველო წარ-მოადგენდა უძლიერესს სახელმწიფოს მთელს და-საელეთის აზიაში. ქართველებს აღარავისი ეშინოდათ, ხოლო მათ წინაშე ყველანი თრთოდენ და თავს იხრიდენ. ქართველის ერის ასე-თი ძლიერება დარღათ აწეათ და სამარცხვინოთ მიაჩნდათ ამპარტა-განს მეზობლებს. სათითაოთ რომ ვერას ახერხებდენ, ახლა შეკავში-რების გზას დადგენ და განიზრახეს შეერთებულის ძალით ბოლო მო-ლოთ ქართველების ძლიერებისთვის. მაგრამ არც ასეთის შეკავშირე-ბით გახდენ რასმე. ქართველები მუდამ იმარჯვებდენ მოზღვავებულს მტრებზე. ამას ჩენ აშკარათ დაეინახათ შემდეგის ამბებიდან.

აღირბექნის ათაბაგმა ამირ-ბუბაქარმა, თავის ძალით რომ ეკ. რას გახდა, მიმართა ხალითას და სოხოეა გაეცა ბძანება, რომ მუ-სულმანების სხეა-და-სხეა ქეყყნების მფლობელებს იმისთვის მიეშეე-ლებინათ ჯარი საქართველოს წინაამდევ გასალაშექებლათ. ხალი-ფა სულიერ ხელმწიფეთ ითვლებოდა მთელს სამუსულმანოში და ამიტომ მისგან გამოცხადებულს ლაშქრობას სარწმუნოებრივი ხას-ათი ჰქონდა. მუსულმანები დაუზარებლათ და თავდადებით იბრძეიან

მუდამ, როცა ბრძოლას სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს, რაღან მათ სწამთ, რომ ეინც ამისთანა ბრძოლაში მოკედება, უთუოთ ცხონდება. ხალიფაშიც მიუწერა ყველა ქვეწების მართლ-მორწმუნე მუსულმანებს, რომ ზეშეელებინათ ჯარი ადირბეჭანის მფლობელისთვის ქართველებთან საბრძოლელათ. თითონაც ამ საქმისათვის გადასდოდიდასალი ფული და ათხოვა ამირ-ბუბაქარს ლაშქრობაში წასალებათ თავისი დროშა.

